საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო
კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი

28 მარტი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე მ. ამირანაშვილი. საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი ზ. პაპიძე. საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფისა და მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზების და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ვ. კვლიშვილი. გენერალური ინსპექციის დისციპლინური დეენის სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების განყოფილების უფროსი ა. ცაგარელი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №372 კონკურსზე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების პაკეტის გახსნა/განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

№372 – კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ შ.პ.ს. "ესსა"-მ წინადადების ღირებულებით 4500.00 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა შ.პ.ს. "ესსა"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საპროექტო სამუშაოს რენდერები, რომლებიც შესაბამისობაშია საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ხოლო რენდერების ვიზუალური მხარე მისაღებია.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. შ.პ.ს. "ესსა"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა №372 კონკურსზე შ.პ.ს. "ესსა".
3. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება.
4. დაევალოს შესყიდვების სამმართველოს წინამდებარე ოქმის და ხელშეკრულების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე — მ. ამირანაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები — ზ. პაპიძე

ა. ცაგარელი

ვ. კვლიშვილი